

ბრძანება

10 აგვისტო 2018 წ.

თბილისი

№ 601/03.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების“ მე-14 მუხლის შესაბამისად და “აბიტურიენტებისათვის/სტუდენტებისათვის მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 24 მაისის №495 ბრძანების გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის რუსულენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნას იორდანიის ჰამედიტური სამეფოს მოქალაქე ლის ფაჰმი მუსტაფა ალბაქურ.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროს 2018 წლის 20 ოქტომბრამდე.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე და ჩარიცხული სტუდენტის სწავლების კურსის განსაზღვრა დაევალოს თსსუ-ის სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანს ს.მღებრიშვილს.
4. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
5. ბრძანება ეგზავნება ვიცე-რექტორს ხ. თოდაძეს, თსსუ-ის სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანს ს.მღებრიშვილს, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მ/შ თ.კილასონიას, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის სამსახურის უფროსს თ. სტეფანიშვილს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს, ეკონომიკურ დეპარტამენტს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი